

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

” ___ ” _____ 2017

ერთი მხრივ შპს "სპარ" (შემგომში "ბროკერი") მისი დირექტორის სპარტაკ თიკანაშვილის სახით და მეორე მხრივ _____ (შემგომში

"დამკვეთი") პ/ნ (ს/კ) _____, შევთანხმდით და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

თავი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულებით ბროკერი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს "დამკვეთს" საბროკერო (საშუამავლო) მომსახურება უძრავი ქონებზე (შემდგომში "ფართი") მისი შეძენის (ყიდვის) მიზნით.

ფართების ვარიანტები "დამკვეთს" მიეწოდოს მის ელ-ფოსტაზე:

აღნიშნული ხელშეკრულების პირობები ავტომატურად ვრცელდება ყველა ასეთ მიწოდებულ ინფორმაციაზე,

რომელიც გაგზავნილი იქნება „ბროკერის“ ოფიციალური ელ-ფოსტებიდან: home@spar.ge ან სხვა

...@spar.ge

თავი 2. წინამდებარე ხელშეკრულებით ბროკერი კისრულობს ვალდებულებას გაუწიოს დამკვეთს საბროკერო მომსახურება, კერძოდ გადასცეს ინფორმაცია მისთვის სასურველ "ფართი"-ზე, ხოლო დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ყველა პირობა რაც მოცემულია ამ ხელშეკრულების თავი 3-ში. თუ დამკვეთის მხრიდან აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის გამო, ბროკერი ვერ მიიღებს თავისი მომსახურებისთვის (საბროკერო მომსახურება) ფართის მესაკუთრისაგან შესაბამის საკომისიო თანხას, რომელიც ბროკერს უნდა გადაუხადოს "ფართის" მესაკუთრემ, მაშინ "დამკვეთი" ვალდებულია თავად გადაუხადოს ბროკერს ფართის ღირებულების 3%(სამი პროცენტი). აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მოხდეს გარიგების დადებიდან და/ან "ფართში" დამკვეთის შესახლებიდან ან მყიდველის მიერ სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან 10(ათი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახდელ თანხას დაერიცხება ჯარიმა ყოველთვიურად 1% (ერთი პროცენტი)-ის ოდენობით;

თავი 3. დამკვეთი ვალდებულია დაიცვას პირობები

1. "დამკვეთი" ვალდებულია არ დაგეგმოს და არ შეხვდეს "ფართის" მესაკუთრეს ან მის წარმომადგენელს ბროკერის გარეშე. აღნიშნული შეხვედრა უნდა დაგეგმოს და განახორციელოს მხოლოდ ბროკერმა.
2. "დამკვეთი" ვალდებულია აღნიშნული "ფართის" შესახებ ინფორმაცია არ გადასცეს დაინტერესებულ სხვა ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირს;
3. დამკვეთი ვალდებულია შეატყობინოს ბროკერს თუ მას ან მისი მხრიდან დაინტერესებულ სხვა ფიზიკურ და/ან იურიდიულ პირს მოეწონებათ ფართი შესაძენად (ყიდვისთვის);
4. თუ დამკვეთი ან მისი მხრიდან დაინტერესებული სხვა ფიზიკური და/ან იურიდიული პირი საბოლოოდ გადაწყვიტავს გარიგებას ფართზე, მაშინ დამკვეთი ვალდებულია მინიმუმ 24(ოცდაათი) საათით ადრე შეატყობინოს ბროკერს ასეთი გარიგების მოხდენის ფაქტის შესახებ. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ერთდროულად ორი ფორმით: 1). შეტყობინების გაგზავნა მობილურზე +995 593-188-661 სმს-ით და 2). ელ-ფოსტებზე: home@spar.ge; studio@spar.ge. შეტყობინების ტექსტი უნდა იყოს შემდეგი: "თქვენი შუამავლობის დახმარებით ჩვენ დავგეგმეთ გარიგება ფართზე: დამკვეთის სახელი / ფართის საკადასტრო

კოდი / გარიგების მოხდენის ადგილი / გარიგების მოხდენის თარიღი და საათი". სხვა ფორმით გაკეთებული შეტყობინება არ ჩაითვლება განხორციელებულ შეტყობინებად.

თავი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 1.1.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
- 1.1.2. მხარეები თანახმანი არიან დავის შემთხვევაში საქმე განიხილოს საქართველოს სასამართლომ ან კერძო არბიტრაჟმა;

თავი 5. ფორს-მაჯორი

- 1.1.3. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ეს განპირობებული ფორს-მაჯორული გარემოებებით. ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჯორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
- 1.1.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი იურიდიული ძალის ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

შპს "სპარ" (შუამავალი)
ქ.თბილისი. ვაჟა-ფშაველას16, VIII სართ.
საბანკო რეკვიზიტები:
შპს "სპარ"
ს/კ: 205290424
სს "საქართველოს ბანკი"
ა/ა: GE53BG000000855525500
ბანკის კოდი: BAGAGE22

ტელეფონი: 593188661
_____ ს. თიკანაშვილი
"___" _____ 2017წ.
<http://www.spar.ge>

.....
(დამკვეთი)
.....
მისამართი:
.....
პ/ნ(ს/კ):
ტელეფონი:.....
_____ ხელმოწერა
~___~ _____ 2017წ.